





ჰანტიერ ს. თომპსონი

ზაფრა და  
გულისრევა  
ლას-ვეგასში

ამერიკელი | დრამა

ჰანტერ ს. თომპსონი  
ზაფრა და გულსრევა ლას-ვეგასში

Hunter S. Thompson  
FEAR AND LOATHING IN LAS VEGAS

მთარგმნელი გია ქუმბურიძე  
რედაქტორი ლალი ქინჭარაული

სერიის დიზაინერი ბესიკ დანელია  
დიზაინერი ნინო გურული

© Hunter S. Thompson, 1971  
© Michael O'Neill/CORBIS OUTLINE  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2013  
ყველა უფლება დაცულია.

ISSN 2233-3789

ISBN 978-9941-11-407-6

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

ჰანტერ ს. თომპსონი 1937 წელს კენტაკის შტატის ქალაქ ლუის-ვილში დაიბადა. ვიდრე ლეგენდარულ „ზაფრა და გულისრევას“ დაწერდა, მოასწრო ძარცვაში თანამონაწილეობის ბრალდებით სასჯელი მოეხადა, სამხედრო-საჰაერო ძალებში ემსახურა და თავისი გიჟური რეპორტაჟებით შეექმნა გონზო-ჟურნალისტიკა – სტილი, რომელიც აღწერილ მოვლენებში ავტორის უშუალო მონაწილეობას, ამბის მძაფრი ემოციებით გადმოცემას და, შიგადაშიგ, ამ ემოციების სინალდის დასტურად არანორმატიული ლექსიკის მოშველიებას გულისხმობს.

„ზაფრა და გულისრევა ლას-ვეგასში“ თომპსონის ყველაზე ცნობილი რომანია. ეს არის სხვადასხვა ჯურის ნარკოტიკებით – „ამყვანებით, დამყვანებით, ამჭყივლებლებით, ამგდებ-დამგდებლებითა თუ მასხარების მთელი გროვით“ გაბრუებული მთავარი გმირის – რაულ დიუკისა და მისი ადვოკატის ლას-ვეგასში, ამერიკული ოცნების საძიებლად გამგზავრების ამბავი.



ედღვნება ბობ გეიგერს – მიზეზების ახსნა აქ ვგონებ, ზედმეტია და  
ბობ დილანს – სიმღერისთვის *Mister Tambourine Man*.

ვინც მხეცად იქცევეს თავს, ადამიანად ყოფნის ტკივილსაც განერიდება.  
სემუელ ჯონსონი





პირველი ნაწილი



სადღაც უდაბნოს დასალიერში გახლდით, ბარსტოდან არცთუ ისე შორს, როცა ძვალ-რბილში დაგვიარა. მახსოვს, წავიბურტყუნესავით:

– მგონი, უკვე აფრები აფუშვი, ახლა შენ დაჯე რა, საჭესთან...

ამის თქმა იყო და გარშემო ძარღვებში სისხლის გამყინავი წივილ-კივილი ატყდა, ცა კიდე ვეებერთელა ლამურების მსგავსი რალაც ჯოჯოებით გაივსო – ჩემი დედას ვფიცავარ, ლას-ვეგასისკენ ასი მილის სიჩქარით მიმქროლავი ეს ჩვენი თავახდილი მანქანა თუ არ ამოეღოთ მიზანში. სწორედ ამ დროს მესმის, ვილაცა ბლავის:

– ღმერთო, შენ გვიშველე! ეს ჯოჯოები საიდანაა?!

მაგრამ მერე უცებვე მიწყნარდა ყველაფერი. ჩემს პირად ვეჩილს პერანგი გაეხადა და მკერდზე ლუდს ისხამდა – აქაოდა, მზე უკეთესად მომეკიდებო.

– რა გაჭყივლებს? – მეკითხება, თან მომრგვალებულშუშებიანი ესპანური სათვალით, ქუთუთოებჩამოშვებული მისჩერებია მზეს.

– დაიკიდე, – ვეუბნები, – ახლა შენი ჯვრია, ატარო.

მუხრუჭებს ვხიე და ეს ჩვენი დიდი წითელი ზვიგენიც სულ საბურავების ღრჭიალ-ღრჭიალით მივაგდე ტრასის კი-

დებე. „აზრი არა აქ, ამ ჩემისას ახლა რაღაც ღამურებზე გავუბა ლაი-ლაი, – გავიფიქრე, – თვითონაც კარგად დაინახავს.“

უკვე ლამის შუადღე იდგა, ჩვენ კიდე ას მიღზე მეტი გვექონდა გასავლელი. მიძიმე ასი მილი. ვიცოდი, დრო ცოტაღა გვრჩებოდა – მალე ისე დაგვივლიდა, ბოლომდე წაგვიღებდა ორივეს. მაგრამ უკან დასახევიც რომ არ გვექონდა? და არც დასტოპების დრო. გზაშივე უნდა გამოვსულიყავით როგორმე. დიდად გახმაურებულ „მინტ-400“-ზე აკრედიტაცია ნაღდად დაწყებულიც იქნებოდა და ოთხამდე უნდა მიგვესწრო, თუკი ვაპირებდით წინასწარ დაკვეთილი ჩვენი ხმაგაუმტარი ოროთახიანი დაგვეთრია. მაგის დაჯავშნა და ამ თავგადახდილი შევის ქირის ამბავი, სანსეთ-ბულვარის სადგომიდან რომ მოვხსენით, ნიუ-იორკის ერთმა სპორტულმა ჟურნალმა ითავა... მე კიდე, სხვათა შორის, პროფესიონალი ჟურნალისტი გახლავართ – ასე რომ, ცოცხალს თუ მკვდარს, ვალად მედო, ერთი კარგი რეპორტაჟი მაინც გამეგზავნა მათთვის.

სპორტგანყოფილების რედაქტორმა 300 მწვანე ჩამიკუჭა, აქედან უმეტესი წილი კიდე მაგარი სახიფათო ნივთიერებების შესაძენად შემომეხარჯა და ჩვენი მანქანის საბარგული ახლა პოლიციის მოძრავ ნარკოლაბორატორიას უფრო გავდა. მოკლედ, ხელში გვექონდა ორი პარკი მასტიკა, 75 ბურთულა მესკალინი, LSD-ს შემწოვი ხუთი ქალაღი, კოკაინით ნახევრად სავსე ნახვრეტებიანი სამარილე და ნაირფერი სტიმულატორების – ამყვანების, დამყვანების, ამჭყივლებლების, ამგდებ-დამგდებლებისა თუ მასხარების მთელი გროვა, რამდენიმე ბოთლი ტეკილა, ლიტრიანი ბოთლი რომი, ერთი ყუთი „ბადვაიზერი“, ნახევარი ლიტრი ნედლი ეთერი და ორი ათეული ამილიუმ-პენტილიუმი. ეს ამდენი რამე წინა

ლამით მოვაგროვებ, გიჟური სიჩქარით რომ დავგრიანებ-  
დით მთელს ლოს-ანჯელესის ოლქში – ტოპანგიდან ვიდრე  
უატსამდე – და ყველაფერს ვეპოტინებოდით, რაც კი ხელში  
მოგვხვდებოდა. კაცმა რომ თქვას, ეს ყველაფერი არც იმდე-  
ნად გვჭირდებოდა – უბრალოდ, როცა ნაღდ კოლექციონე-  
რობას იწყებ, სურვილი გიჩნდება, კაიფისთვის არც არაფერი  
დაიკლო.

ერთადერთი, რაც არ მასვენებდა – ეთერი იყო. არაფე-  
რია ბუნებაში იმაზე უსუსური, ჩაშვებული, უპასუხისმგებლო  
და გარყვნილი, ვიდრე ეთერით დაშტერებული ადამიანი; მე კი  
ექვი მღრღნიდა, რომ სულ მალე მივადგებოდით ამ დამპალ  
საყნოსავს, იქნება და, სულაც შემდეგ ბენზინგასამართზე.  
აქამდე თითოჯერ ჭაშნიკი უკვე თითქმის ყველაფერს გავეუ-  
სინჯეთ და ახლა დრო იყო, ეთერის ერთი ღრმა შესუნთქვაც  
მიგველო სრული მულამის დასაჭერად, მერე კი კიდე ასიო-  
დე მილი ამ ამაზრზენ, დორბლგადმომდინარე თიშში გვევ-  
ლო. ოღონდ ეგაა – ხომ იცით, რომ ერთადერთი საშუალება,  
ეთერით გაბრუებულს აზრის ნატამალი მანაც შეგრჩეს თავში,  
ამილის მიღებაა – ოღონდ არა ბევრის ერთად, არამედ ნა-  
წილ-წაწილ – თან ზუსტად იმდენის, ოთხმოცდაათი მილის  
სიჩქარით გაიარო ბარსტოუ და განათების პირველსავე ბოძს  
არ შემოეხვიო.

– მგზავრობა ეგრე უნდა, ძმაო! – გაიძახის ჩემი ვექილი.

მერე ლამის მთლად გადაწვა საზურგეზე, რადიოს აუწია,  
დასარტყმელების ბაგუნს აყვა და ზმუოდა – „სულ ერთი დაყ-  
ნოსვა, იესო ჩემო, ან – ერთი ნაფაზი...“ ერთიო?! ვაი, შენს  
პატრონს! დაიცა, ჯერ ის ლამურებიც მოგიფრინდნენ! მანქა-  
ნის კარს ვიყავი მიყრდნობილი, მაგნიტოფონი მქონდა ჩაბლუ-  
ჯული და ჩემს საყვარელ ჩანანერს – „ემმას თანაგრძნობას“

ვალრიალებდი ბოლო ხმაზე. ეს ერთადერთი კასეტა გვქონდა და გაუთავებლად ვატრიალებდით – რადიოსთან კონტრაპუნქტის ამბავში. და საერთოდ, რაღაც რიტმი ხო უნდა დავეჭირა ტრასაზე: ბოლო-ბოლო, ასეთ დროს შეუჩერებელი და მოზომილი სვლა მეტად მნიშვნელოვანი რამაა ბენზინის ყაირათიანად ხარჯვის ამბავში, დიახ. ეგ რაში გვადარდებდა, ახლა უკვე აღარც მახსოვს, მაგრამ ასე კი იყო. თუმცა რა – ნებისმიერი მგზავრობის დროს კარგი მძლოლი მუდამ თვალს ადევნებს ხოლმე ბენზინის ხარჯვას – ასე არაა? ეს უაზრო აწყვეტები და სიჩქარის დაგდებები კიდე ბენზინის მტერია, რომ იცოდეთ. იმაზე აღარაფერს ვამბობ, ზედმეტ სისხლს რომ ტუმბავს თავში...

ვექილმა ჩემზე ბევრად ადრე მოწვა ის ჰიჩჰაიკერი<sup>1</sup>.

– ბიჭიც ჩავისვათ, – თქვა და ვიდრე რამის თქმას მოვასწრებდი, მანქანა ადგილზე დაასტოპა; ეს ოკლაჰომელი ყანა კიდე თავქუდმოგლეჯილი მორბის და პირგახეულ სახეზე აწერია – *ავოე! ეგეთით ჯერ არ მიმგზავრია!*

– რაო, მზადა ხარ? – ვეკითხები. – კაცების მარაქაში გადიხარ?

თავს მიკანტურებს და ჩვენი *ზეიგენიც* ადგილიდან წყდება, ღმუილით.

– მოკლედ, ახლა ჩვენიანი ხარ, – ვექილი ეუბნება, – ისე, რო იცოდე, სხვებს კი არა ვგავართ...

– მორჩი ბაზარს და წინ იყურე, – ვეუბნები რაც შეიძლება მკაცრი ხმით, – წურბელებს გავაძრობ, იცოდე!

ეს ჩემისა კიდე იკრიჭება, მგონი, მიმიხვდა. ბედზე, მანქანაში ისეთი ხმაური იდგა – აქეთ რადიო, იქით მაგნიტოფონი

---

<sup>1</sup> უფასოდ დამგზავრების მოყვარული.